ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშუტებზე სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის, „ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილების, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“, „დ“ და „კ“ ქვეპუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1. ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშუტებზე უფასო მგზავრობის უფლება მიეცეთ:

1. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებსა და გადაადგილებისას მათთან ერთად მყოფ დამხმარე პირს/მხარდამჭერს;

2. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებულ პირებსა და სამხედრო ძალების ვეტერანებს;

3. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანებს;

4. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანებს;

5. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე პირებსა და გადაადგილებისას მათთან ერთად მყოფ დამხმარე პირს/მხარდამჭერს;

6. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიო ომში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა (გარდაცვლილთა), მათ შორის, ომის შემდგომ გარდაცვლილთა (უგზო-უკვლოდ დაკარგულთა) ოჯახების წევრებს;

7. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ ჩერნობილის ავარიის შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებს;

8. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლის“ ბენეფიციარებს;

9. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს;

10. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000-ს;

11. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო და კერძო სამართლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებს;

12. არასამაწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების" თანამშრომლებს (მეეზოვეები, დამლაგებლები და მუშები);

13. რუსეთ - უკრაინის ომის შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრებ უკრაინიდან დევნილებს.

მუხლი 2. ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშუტებზე მგზავრობის ტარიფის 50 პროცენტიანი შეღავათიანი ფასდაკლებით სარგებლობის უფლება მიეცეთ:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" ფილიალის თანამშრომლებს.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული ავტორიზებული უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს.

მუხლი 3. ამ დადგენილების პირველი და მე-2 მუხლებით განსაზღვრული კატეგორიების პირთათვის განკუთვნილი, გადახდის შესაბამისი საშუალებების გამოყენების კონტროლის მიზნით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, შეღავათით მოსარგებლე პირთა, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილი წესით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების სააგენტოს ელექტრონული ბაზებიდან მოპოვებული მაიდენტიფიცირებელი მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფოტოსურათი) მიწოდება ეთხოვოს ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოვლენილ შესაბამის უფლებამოსილ პირს (ბარათის გამცემი).

მუხლი 4. ამ დადგენილების პირველი და მე-2 მუხლებით განსაზღვრული კატეგორიების პირების მონაცემთა ბაზის განახლების მიზნით, არანაკლებ 3 თვეში ერთხელ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოვლენილი შესაბამისი უფლებამოსილი პირისათვის (ბარათის გამცემი) შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა ეთხოვოთ:

1. პირველი მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი კატეგორიების მქონე პირებთან დაკავშირებით - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სოციალური მომსახურების სააგენტოს;

2. პირველი მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტებით დადგენილი კატეგორიების მქონე პირებთან დაკავშირებით - საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს;

3. პირველი მუხლის მე-5, მე-9 და მე-10 პუნქტებით დადგენილი კატეგორიების მქონე პირებთან დაკავშირებით - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურს;

4. პირველი მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი კატეგორიების მქონე პირებთან დაკავშირებით - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლს";

5. პირველი მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი კატეგორიების მქონე პირებთან დაკავშირებით - საჯარო სამართლის იურიდიული პირს „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას“, ქუთაისის საგანმანათლებო რესურსცენტრსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო და კერძო სამართლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს;

6. პირველი მუხლის მე-12 პუნქტით დადგენილი კატეგორიების მქონე პირებთან დაკავშირებით - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „სპეციალურ სერვისებს“;

7. პირველი მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი კატეგორიების მქონე პირებთან დაკავშირებით - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ და სოციალური სამსახურებს;

8. მე-2 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი კატეგორიების მქონე პირებთან დაკავშირებით - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებას“;

9. მე-2 მუხლის მეორე პუნქტით დადგენილი კატეგორიების მქონე პირებთან დაკავშირებით - საჯარო სამართლის იურიდიული პირს „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასა“ და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებულ ავტორიზებულ უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

მუხლი 5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M2 და M3 კატეგორია) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელმა იურიდიულმა პირმა უზრუნველყოს ამ დადგენილების პირველი და მე-2 მუხლებით დამტკიცებული მგზავრობის ტარიფის ფასდაკლების სისტემით მომსახურების განხორციელება მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 6. სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის მომსახურებით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობა განხორციელდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოვლენილ შესაბამის უფლებამოსილ პირთან (ბარათის გამცემი) პროგრამით მოსარგებლე პირთა შესახებ ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე, რის შემდეგაც შესაბამისი უფლებამოსილი პირი (ბარათის გამცემი), უზრუნველყოფს მათთვის მგზავრობისთვის საჭირო სამგზავრო პლასტიკური ბარათების ან/და ციფრული საბანკო ბარათების ან/და პლასტიკური საბანკო ბარათების ან/და გადახდის სხვა საშუალებების დამზადებას/შექმნას.

მუხლი 7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის №177 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 05.05.2021, №010250020.35.123.016580).

მუხლი 8. დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1-ელი სექტემბრიდან.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ერემეიშვილი

განმარტებითი ბარათი

„ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშუტებზე სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

2021 წლის 28 აპრილს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო N177 დადგენილება „ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“. 2023 წლის 14 ივნისს მიღებულ იქნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი, რომლითაც ახლებულად განისაზღვრა მოქალაქეების პერსონალურ მონაცემთა დაცვის პრინციპები და საფუძვლები. აღნიშნულ კანონთან შესაბამისაობაში მოყვანისა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია შეიცვალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ავტოსატრანსპორტო საუალებების მარშრუტებზე არსებული სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემა.

ბ) პროექტის მიღების მიზანი:

აღნიშნული პროექტის მიღების მიზანია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე ახალ გარემოებებთან შესაბამისი სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის დაწესება.

2. დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

ბ) პროექტის გავლენა ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

გ) პროექტის გავლენა ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის მიღებით ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი არ იზრდება.

3. დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილეობდა:

ქალაქ ქუთაისის მუნციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული - იურიდიული განყოფილება.

4. დადგენილების პროექტის ავტორი:

დადგენილების პროექტის ავტორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული - იურიდიული განყოფილება.

5. დადგენილების პროექტის ინიციატორი:

დადგენილების პროექტის ინიციატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ერემეიშვილი.

6. დადგენილების პროექტს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარადგენს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი - ირაკლი გიორგაძე.

დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი